

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №204/04
2023 წლის 3 აგვისტო

ქ. თბილისი

„წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 აპრილის №71/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 აპრილის №71/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 23/04/2019; სარეგისტრაციო კოდი: 220020000.18.011.016384) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) დერივატივი – „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარიგება;“;

გ) „ო“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) „ფ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ და „ღ“ ქვეპუნქტები:

„ქ) პირველი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიის სესხი – სესხი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესით“ გათვალისწინებულ პირველი დონის საკრედიტო რისკის ფინანსური ინსტრუმენტების კრიტერიუმებს;

ღ) პირველი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიის ფასიანი ქაღალდი – ფასიანი ქაღალდი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესით“ გათვალისწინებულ პირველი დონის საკრედიტო რისკის ფინანსური ინსტრუმენტების კრიტერიუმებს.“.

2. მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საზედამხედველო კაპიტალი, გარდა მეორადი კაპიტალის სხვა 1 წლამდე ნარჩენი ვადიანობის ინსტრუმენტებისა;“.

3. 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21. 85% სდს განაკვეთი

აქტივების კატეგორიაში, რომლებსაც 85% სდს განაკვეთი ენიჭება, შედის:



ა) 1 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის პირველი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიის სესხები, რომლებსაც 35%-ზე მაღალი წონა ენიჭება და არ შედის ამ დებულების მე-15-მე-20 მუხლებით განსაზღვრულ კატეგორიებში, გარდა ფინანსურ ინსტიტუტებზე გაცემული სესხებისა და დეპოზიტებისა;

ბ) 1 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის პირველი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ შედის მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პირველი ვიცე-პრეზიდენტი/
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი

ნათელა თურნავა

